საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

დრ. მთავარი კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

შაბათი, სექტემბრის 3
1921 წ.
ფასი 500 მანეთი

№ 12

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 10,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

## საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი იწვევს ქ. ტფილისში პარტიულ ყრილობას

განსახილველი საკითხები:

1. დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედება—მომხსენებელი ამხ. თედო ღლონტი.
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. პარტიის უახლოესი პრაქტიკული მიზნები—მომხ. ამხ. პარმენ ჭ.ნიშვილი.
4. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო—მომხს. ამხ. თ. ღლონტი.
5. ინტერნაციონალი—მომხსენებელი ამხ. სიმონ ხუნდაძე.
6. საბჭოთა სისტემა—მომხსენებელი ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.
7. პროფკავშირები და კოოპერაცია—მომხს. ამხ. ეფრემ ჩახუნაშვილი.
8. ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი—მომხს. ამხ. სერგო ამაღლობელი.
9. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა.

ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით დელეგატი გამოიგზავნება მხოლოდ პარტიის წესდების მე-23 მუხლის მიხედვით. ქალთა, ახალგაზრდათა და პროფესიის წარმომადგენლებს მიეცემათ სათათბირო ხმის უფლება.

ყრილობაზე დელეგატები იგზავნება 100 წევრზე ერთი. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

ყრილობის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ადგილობრივ ორგანიზაციებს შეუძლია აღძრას ყრილობისათვის სხვა და სხვა საკითხი 20 ენკენისთვემდე. საყრილობო საკითხს ამტკიცებს დრ. მთავარი კომიტეტი.

---

შალვა ივანეს ძე, ელენე სოლომონის ასული და ეიური შალვას ასული კილაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას უძვირფასესი

მია სამსონის.

---

ბიძინა ივანეს ძე, ოლიმპიადა მერაბის ასული და მუქული კილაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას უძვირფასესი

მია სამსონის.

---

ერმოლოზ (ჯუმბერ) დავითის ძე, თამარ ივანეს ასული და ნუგზარი ერმოლოზის ძე ნიჟარაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ გარდაცვალებას უძვირფასეს

მია სამსონის.

---

მღ. სიმონ დავითის ძე კილაძე, მართა გიორგის ასული, ფილიმონ და შოთა სიმონის ძენი კილაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უსაყვარლესი პირველის ძმა, მეორესი მაზლი, უკანასკნელის კი

მია სამსონ დავითის ძე კილაძე.

---

გიორგი დავითის ძე, ანნა ონისიმეს ასული, რამაზ და ირა გიორგის ძენი კილაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის უსაყვარლესი ძმა, მეორესი მაზლი და უკანასკნელის

მია სამსონ დავითის ძე კილაძე.

---

ივანე დავითის ძე, პელაგია ოქრომჭედლის ასული შვილებით: თამარა ივანეს ასული, შალვა, ბიძინა, დავითი და გიგო კილაძეები, სიძე: ჯუმბერ დავითის ნიჟარაძე, რძლები: ელენე სოლომონის ასული და ოლიმპიადა მერაბის ასული კილაძეები აუწყებენ გარდაცვალებას უსაყვარლესის პირველის ძმის მეორესი უსაყვარლესი მაზლის, უკანასკნელის ძია

სამსონ დავითის ძე კილაძის

დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე ფრეილინის ქუჩა სახ. № 9 მიცვალებულის ვაგზალზე მისვენება მოხდება შაბათს 3 სექტ. ნაშუადღევის 3 საათზე.

---

ბართლომე ალექსის ძე კილაძე, მეუღლე იულია იორდანეს ასული და შვილები: ფაონი, გრიგოლი და ალექსანდრე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებსა და მეგობრებს, გარდაცვალებას მათი უძვირფასესი მეგობრისა და ძმის მსგავსი

სამსონ დავითის ძე კილაძისას

პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 6 საათზე; მიცვალებულის გასვენება ტფილისის სადგურზე შაბათს, სექტემბრის 3 ს, ნაშუადღევის 3 საათზე, ხოლო დაკრძალვა ქუთაისში.

---

ხუთშაბათს, სექტემბრის 1-ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

სამსონ დავითის ძე კილაძე

რასაც მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს ძმები: სიმონ, ივანე, ბართლომე, გიორგი და და ემილიანე, რძლები: მართა, პელაგია, ივლიტა და ანნა შვილებითურთ. სამოქალაქო პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 6 საათზე ფრეილინის ქ. სახ. № 9. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

## ერთხელ კიდევ

(პარტიული ყრილობისათვის)

ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის უეჭველად მოწვეულ იქნება „ჩვენი პარტიის ყრილობა. დრ. მთავარი კომიტეტი შეუდგა საჭირო სამზადისს, შეიმუშავა ყრილობის პროგრამა და წინდაწინ გამოაცხადა ის, რომ პარტიულ ამხანაგებს და ორგანიზაციებს საშუალება მიეცეს სათანადოთ მოემზადოს ამ დიდი საქმისათვის, სავსებით გაიმსჭვალოს მთელი პასუხისმგებლობით მომენტისა და გარკვეული, მტკიცე პასუხი გამონახოს როგორც ჩვენი პარტიის, ისე ჩვენი ქვეყნისათვის საბედისწერო საკითხებზედ.

მეტად დიდი ცვლილება მოხდა და ხდება ქართველი ერის ცხოვრებაში; მეტად ძნელსა და რთულ პირობებში გვიხდება მუშაობა; მეტად მრავალმხრივ და მრავალშედეგებიან მიზეზებთან გვაქვს საქმე, მრავალნაირ ძალთა ჭიდილის კვანძში ვართ მოქცეულნი და ყოველივე ეს მოითხოვს დიდ პოლიტიკურ ალღოს, დიდ პრინციპიალ სიმტკიცეს, ენერგიის მაქსიმუმს და ურყევ ნებისყოფას.

თითქოს ჩვენს ძალებს აღემატება ჟამთა მსვლელობის გამოცანები. მაგრამ მომენტი მოითხოვს და ჩვენც ყველაფერს უნდა ვცდილოთ! საქართველოს ბედი ცხლა წყდება და ეხლა გამოჩნდება, ვის უფრო უყვარს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მშრომელი ხალხი. ასეთ მომენტში შეცდომა კიდევ იპოვის გასამართლებელ საბუთებს, მაგრამ უმოქმედობა ვერაფრით ვერ იმართლებს თავს. როგორც უკალ-წ.ღებულს არას უშველის ღმერთის იმედი და ვედრება, თუ თვითონაც ხელი არ გაანძრია, ისე ამ უდიდეს ნგრევა შენების ხანაში არას გვიშველის ვისიმე იმედი, თუ გინდ მსოფლიო რევოლიუციისა, თუ ჩვენ თვითონ ხელი არ გავანძრიეთ, არ ავმოძრავდით, არ ვიბრძოლეთ.

არავინ უფლებას არ აძლევს, არც რევოლიუცია. უფლებას ბრძოლით მოვიპოვებთ. ეს კარგად უნდა შევიგნოთ და შევაგნებინოთ ყველას. ჩვენი ერის სასიცოცხლო ელემენტები დღეს უნდა დაირაზმოს რევოლიუციის დროშის ქვეშ. მხოლოდ ერის მცონარე ელემენტები, რომელნიც აქვე გამოფიტულან, ბრძოლის და შემოქმედების ენერგია დაშრეტიათ, მხოლოდ ასეთი ელემენტები არიან დღეს უმოქმედოთ. მათი იმედით ჩვენი ერი შორს ვერ წავა. მათ უმოქმედო ლოდინს დრო არ დაუცდის. ან ბრძოლა და წინ სვლა, ან არქივში გაჩვეულება. არჩევანი ჩვენზეა. ჩვენ პირველს ვირჩევთ, აქეთ მოვუწოდებთ ჩვენი ერის ყველა სასიცოცხლო ძალებს და ვინც გამოგვყვება მათთან ერთად გამოვნახავთ გზას და საშუალებას.

ეს მიზანი აქვს მომავალ ყრილობას და ამას ის შეასრულებს, მიუხედავად ბუნებრივ თუ ხელოვნურ დაბრკოლებებისა. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა პარტიულ ამხანაგებს განურჩევლად აზრთა სხვა და სხვაობისა ენერგიული მონაწილეობა მიიღონ ყრილობის მოწვევაში, მოექცნ ხელახალ რეგისტრაციაში და ამით უფლება მოიპოვონ ყრილობაში მონაწილეობის მიღებისა, მოვიდნენ აქ და თავის სიტყვა სთქვან, სიტყვა გარკვეული, გადაჭრილი.

ჩვენი სურვილია პარტია არ დაინაწილდეს, არ დასუსტდეს. ამიტომ ჩვენ ერთხელ კიდევ ყველას მოვუწოდებთ ყრილობაზედ. გვინდა გაზიარებული პარტიის გამრთელება, თუ ეს შესაძლებელია. ვინც ამ აზრს იზიარებს, ის მოვა ყრილობაზედ, ჩვენ მათ წინაშე ანგარიშებით წავსდგებით. მოვისმენთ და მივიღებთ მათ სამართლიან მსჯავრს.

ვისაც ეს არ შეუძლია ან არ სურს, მშვიდობით იყოს. პარტიას კი მოქმედება, სიცოცხლე სწყურია და უნდა იცოცხლოს.

ომეგა.

---

## სასწავლო წელი ახლოვდება

ამ საერთო გასაჭირში საქართველოს უნივერსიტეტის საკითხი ვილას აინტერესებს. დღეს ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხიდან ჩამოდიან ახლად კურს დასრულებული ყმაწვილები. როგორი ენერგიით, როგორი ენტუზიაზმით, რით გორი აღფრთოვანებით მოეშურებიან ისინი ტფილისისაკენ? მაგრამ ვფიქრობ, რომ სამწუხაროდ ჩვეულებრივი ისტორია განმეორდება.

პირველი სემესტრის დასაწყისში აუდიტორია გაჭედილია, ყველას ყარანდაში და რვეული უჭირავს ხელში, ყოველ სიტყვას პროფესორის ლექციიდან, გაფაციცებით ადევნებს თვალყურს და იწერს შენიშვნებს, სქემებს. მაგრამ... მაგრამ გადის რამდენიმე კვირა, წამოლეწული საგზალი ილევა, სასახსური (ვისაც ბედი შეხვდება და იშოვის) აღარ იძლევა არსებობის საშუალებას. რამდენიმე დღე კი რჩება სტუდენტი ტფილისში ნახევრად მშიერი, ბედის მაწყევარი, სასოწარკვეთილი. შემდეგ კი იწყება ემიგრაცია ტფილისიდან. წლის დასაწყისში გაჭედილი აუდიტორია, წლის დასასრულს მხოლოდ 5—6 კაცი რჩება და მათ შორის 2—3 თუ აბარებს გამოცდებს.

პრესაში ვჭვრეტთ განგაშს, მოვითხოვთ დახმარებას, მაგრამ ყოველივე ამაოდ.

ბევრი მთავრობა ვნახეთ საქართველოში, ბევრი კაბინეტი შეიცვალა, მაგრამ არც ერთი არ გვინახავს, რომ უნივერსიტეტის სათანადო ყურადღებას აქცევდეს.

არც ეხლა გვაქვს დიდი იმედი, თუმცა, როგორც ვიცით, საბჭოთა რუსეთში სწავლა-აღზრდის საქმე შედარებით კარგად არის დაყენებული და საბჭოთა საქართველოც, რომ ამ „შაბლონს“ გადმოიღებდეს სიამოვნებით მივიღებთ.

დღეს უნივერსიტეტის რეორგანიზაციაზე ლაპარაკობენ. ჯერ-ჯერობით არავითარი მასალა ხელთ არა გვაქვს, რომ გამოვსთქვათ ჩვენი შეხედულება ამ მოვლენაზე. ერთი კი ამ თავითვე ცხადი და აშკარაა: როგორი რეორგანიზაციაც არ უნდა მოხდეს, როგორც არ უნდა იქნეს უნივერსიტეტის სისტემა და მისი სტრუქტურა, იგი თავის თავად ქაღალდზე დარჩება, თუ მატერიალური დახმარება არ გაიღო სახელმწიფომ სტუდენტთა შედარებით უზრუნველსაყოფად.

როგორია დღეს სტუდენტთა მდგომარეობა?

სასადილო, ერთად-ერთი წყარო არსებობისა დღევანდელ დროს, მოკლებულია მთავრობისაგან ყოველგვარ დახმარებას. საკუთარი თანხით სტუდენტთა კავშირს, ცხადია, არაფრის გაკეთება არ შეუძლია.

სტუდენტთა ბინა, რომელიც იყო ძველად, „ბომონდი“, დღეს ისიც აღარ არსებობს. სტუდენტები ქუჩაში გადმოყრილი და მათ ყოფილ ბინაზე რაღაც სხვა დაწესებულება, თუ მგონი წითელი ჯარი არის მოთავსებული.

ჩვენ გვსურს ვიცოდეთ, რა ზომებს იღებს სტუდენტთა კავშირი ყოველივე ამის წინააღმდეგ? აყენებს თუ არა იგი მოთხოვნილებებს სტუდენტთა უფლებრივ და ქონებრივ მდგომარეობისათვის სადაც ჯერ არს? შუამდგომლობს იგი თუ არა მთავრობის წინაშე რაიმეზე, მომავალი სასწავლო წლისათვის, რომელიც უკვე კარს მოადგა.

დღეს ყველა პროფესიული ორგანიზაციები ენერგიულ მუშაობას აწარმოებენ და ბუნებრივია აილეც ეს. მაგრამ რას შვრება სტუდენტთა კავშირი?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახალი ხელისუფალნი ცოტაოდენ დახმარებას მაინც აღმოუჩენენ სტუდენტობას.

ყოველ შემთხვევაში ცდა მაინც საჭიროა, რომ რამე მოვიპოვოთ, ხოლო თუ ყოველ მხრივ გზა გადაღობილი იქნება, ბოლოსა და ბოლოს ისევ ისა სჯობს, რომ თავი დავანებოთ ამ აკადემიურ ხუმრობას, რაც ამდენხანს იყო და შევწყვიტოთ მეცადინობა. ყოველშემთხვევაში სტუდენტები სხვა საქმეს მონახავს, აღარ გასცდება, ხოლო პროფესურა მომავლისათვის მაინც დაამზადებს მასალებს.

ვნახოთ ყოველ შემთხვევაში, როგორი იმოქმედებს სტუდენტთა კავშირი და რა პასუხს მიიღებს ახალი ხელისუფლებისაგან.

ნუ დავივიწყებთ სასწავლო წელი უკვე მოვიდა.

ხერ. ამაღლობელი.

---

## შევარდენთა გაფრენი.

კოჯორი—ქოროღლი—ქობენი.

1.

თითქმის ყოველ შაბათობით აწყობს საქართველოს შევარდენთა კავშირი გაფრენებს. შაბათს ექვს მარიამობისთვეს დაინიშნა გაფრენი კოჯორში, მხოლოდ ამ გაფრენში მონაწილეობა უნდა მიეღოთ აგრეთვე ბავშვებს. შეუდგით თადარიგს, რათა შევარდნები უზრუნველყოფილიყვნენ კოჯორში სურსათით. შუამდგომლობის მიხედვით განათლების კომისარიატის წინაშე, მოგვეცა სათანადო ბარათი კოჯრის ბავშთა ახალშენის გამგესადმი მიმართული, რომლის ძალითაც უნდა მოგვცემოდა 60 შევარდენზე სურსათ-სანოვაგე.

განათლების კომისარიატს მოწყობილი აქვს კოჯორში ბავშთა ახალშენი, სადაც სხვათა შორის შევარდნიელ ვარჯიშობას ასწავლიან ჩვენი წვრთნელები. ოლა და დარეჯანი, ვანო და ჰიჰაკო—აი ჩვენი წვრთნელები, რომელნიც განათლების კომისარიატის წინადადებით გაგზავნა კოჯორში შევარდენთა კავშირმა და ჩვენც მათი იმედი უფრო გვაქვს

დახმარების მხრივ, რომელსაც გადავწყვიტეთ კოჯორში გამგზავრება.

საღამოს მეექვსე საათზე გავედით მეორე შევარდენიდან რუსთაველის ქუჩით და შევუდექით სოლოლაკს, თან გვახლავს ოცი ბავში, უმთავრესად გოგონები, რის გამოც ძლიერ ნელი ნაბიჯით მივიწევთ წინ. სოლოლაკის ბოლოს თითო წურთნელს ჩაბარდა ორი ბავში, რომელთა ბარგიც ვალდებული იყო წაეღო წურთნელს, ასე რომ ამდაგვარი ჩვენს მსვლელობას ერთგვარი სიჩქარეც მიეცა.

მრავალი ავტომობილები მიჰქრის კოჯორის და კიკეთის მიმართულებით. დღე ნახევრით მიდიან დასასვენებლათ სხვა და სხვა თანამდებობის პირები. ჩვენ კი ავიღეთ ველიგზი პირდაპირ წავკისზე. სოფელი წავკისი ტფილისიდან მდებარეობს სულ 5 ვერსის მანძილზე, ასე გვიჩვენებს ბიჯზომი ანუ პედომეტრი—ხელსაწყო, რომელიც გავლილ მანძილს ზომავს. სოფელი სიმღერით გავიარეთ. სოფელი გამოეფინა ქუჩებზე. ჯერ ხალხს ვიღაც უცხოელები ვეგონეთ და მოგვერიდენ, მაგრამ როდესაც გაიგეს ჩვენი ქართული სიმღერები, ქართული ლაპარაკი და ჩვენც აუხსენით შევარდენის მნიშვნელობა, მოხუცი ქალები გვლოცავდენ. წავკისში წყაროსთან შევისვენეთ. ცოტა ხნის შემდეგ შევუდექით კოჯორის აღმართს, რომელმაც ორი ვერსი გასტანა. შემოგვაღამდა. კოჯრის განაპირიდან სიმღერით გავიარეთ მთელი მანძილი ახალშენამდის, სადაც ვანო კუჭუხიძე სანათურით შემოგვეგება, მხოლოდ ახალშენის ბავშვები მწკრივში ჩამდგარი პიკიკოს მეთაურობით შემოგვეგება ძახილით „შევარდენს გაუმარჯოს“-ო, რის შემდეგაც სიმღერებით მიგვაცილა ბინაზე. ახალშენის ბავშვები მხიარულებას მიეცა. იქვე შემოგვხვდენ გურგენი, რომელიც დილიდანვე გაემგზავრა კოჯორში და აგრეთვე ოლა დარეჯანიაურთ. რადგან ჩვენი ბავშვებიც დაღლილები იყვნენ, ამისათვის მათ დაუთმოთ ოთახი, მხოლოდ ვაჟები მოვთავსდით ცალკე აგარაკში, სახელდობრ საკრებულოში. სანამ დალაგდებოდენ შევარდნები, მოურავი ძმა კოლა და ვანო იღებდენ ახალშენის საწყობებიდან პურს და შაქარს დილისათვის. პური თეთრია, ბამბასავით. ახალშენის ბავშვები დიდ პატივში არიან, ულუფას გირვანქა ნახევარი პური შეადგენს დღეში, ჩაი დილა-საღამოს, სადილი ორი ხან სამი თავიდან და საღამოსაც საუზმე-ვახშამი. ჩვენც რადგან ჩავენიშნეთ ახალშენის ულუფაზე, მივიღეთ ნატურით ყოველივე, მხოლოდ ჩვენი მზარეულთა გუნდი ჩვეულებისამებრ სწრაფათ და ყოჩაღათ მოქმედებდა.

საკრებულოს დარბაზში, რომელშიც სკამებზე თუ იატაკზე ძმები მოვთავსდით, ცოტა არ იყოს ციოდა. საერთოთ კოჯორში ღამე კარგა სიცივეებია. შუაღამეს გადასცილდა თუ არა, სიცივემ არ მოასვენა მოვარჯიშენი. მეც გამომეღვიძა. ძმები გარეთ მეპატიჟებოდენ, სადაც დაენთოთ ცეცხლი და მას ირგვლივ შემოხსდომოდენ და თბებოდენ. მთელი ნაშუაღამევი გათენებამდის ცეცხლთან გავატარეთ ხუმრობაში. გათენდა თუ არა გავეშურეთ წყაროზე, რომელიც იქვე ეზოში იყო. აღსანიშნავია ის, რომ სახალხო განათლების კომისარიატის ბავშვთა ახალშენი ყოფილ შტაბის ეზოს შენობებშია მოთავსებული. დავიბანეთ თუ არა პირი, წავედით იქ, სადაც დანარჩენ შევარდენთან ერთად დილის საუზმეც გვიმზადდებოდა. საუზმეს კი შეადგენდა ნახევარი გირვანქა თეთრი პური და შაქრიანი ჩაი. ჩაის შემდეგ გამოვედით ისევ ეზოში, სადაც სავარჯიშო იარაღებთან მოედანზე ყველა შევარდნები მოგროვდენ. გუნდის უფროსმა ძმა გიორგი ნიკოლაძემ მოგვცა წინადადება, რათა მოვმზადებულიყავით ქოროღლის ციხეზე წასასვლელათ. ქოროღლის ციხე პირდაპირ მოსჩანს ეზოდან ვერსნახევრის მანძილზე. მშვენიერი სურათია, მართალია მხატვარი არა ვარ, მაგრამ ისეთი მძლავრი იყო შთაბეჭდილება, რომელიც პირადათ ჩემზე დასტოვა ქოროღლის სანახაობამ, რომ ხელდახელ გადმოვიღე მისი ესკიზი, თუმცა მხატვრობაში არასოდეს ნიჭი არ გამომიჩენია.

ს. ახლანიშვილი.

# უნდა დავეხმაროთ.

ვინც თვალ-ყურს ადევნებს დღევანდელ პრესას, მას კარგად ექნება წარმოდგენილი ის ეკონომიური გაჭირვება, რომელიც თავს დაატყდა რუსეთის მშრომელ ხალხს.

საუკეთესო მხარეები რუსეთისა, რომელნიც თავიანთ უხვ მოსავლით სხვებსაც კვებავდენ, დღეს საშინელ სიმშილობას განიცდიან მოუსავლობის გამო. იმედდაკარგული გლეხობა სტოვებს თავიანთ სახლ-კარს, მთელ ქონებას და ესახლებიან ისეთ კუთხეებში, სადაც იმედოვნებენ თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესობას. მთელი რუსეთის ხალხის და მთავრობის უმთავრესი ყურადღება, დღეს დამშეულთა დახმარებისაკენ არის მიპყრობილი; არსდება დამხმარე კომიტეტები, რომელნიც მოუწოდებენ მთელ ქვეყნის მშრომელ ხალხს, რომ დაეხმარონ დამშეულებს. რუსეთის მოწოდებას ევროპის მუშებიც გამოეხმაურენ, რომელნიც ენერგიულ მუშაობას აწარმოებენ რუსეთის ხალხის დასახმარებლად. რასაკვირველია, ასეთ მდგომარეობის დროს საქართველოს მშრომელ ხალხს არ შეუძლია, რომ აქტიური მონაწილეობა არ მიიღოს იმ ხალხის დასახმარებლად, რომელთან ერთად უბრძოლია და უნდა იბრძოლოს მშრომელი ხალხის ინტერესების დასაცავად.

დღეს ბევრი კონტრ-რევოლიუციონერი ზეიმობს, ბევრს უხარიან რუსეთის ხალხის ასეთი გაჭირვება და იმედოვნობენ, რომ მოახლოვდა ის დრო, როდესაც ბოლო მოეღება რუსეთში სოციალისტების ბატონობას.

რა არის ამ შემთხვევაში საქართველოს მშრომელი ხალხის მოვალეობა?

რასაკვირველია ენერგიულად მოჰკიდოს ხელი დახმარების საქმეს და დაუმტკიცოს რევოლიუციის მტრებს, რომ იმ დროს, როდესაც საქართველოს მუშები არა ნაკლებ ეკონომიურ გაჭირვებას განიცდიან, მაინც არ ივიწყებენ რუსეთის დამშეულებს და ყოველ ზომას ღებულობენ მათ დახმარებისათვის.

ქართული ანდაზაა „ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოვო“ ჩვენ ეს უნდა დავამტკიცოთ საქმით. მაშ, საქართველოს მშრომელო ხალხო, დაეხმარეთ რუსეთის მშრომელ ხალხს.

მე სრულ იმედს გამოვსთქვამ, რომ საქართველოს მუშათა კლასი თავის მოვალეობას პირნათლად შეასრულებს და შეძლებისდაგვარად დაეხმარებიან დამშეულებს.

გ. ლახვარი.

# ახალი ამბები

— **გემები ბათომის ნავთსადგურში.** ბათომის ნავთსადგურში მოვიდა გემი სტამბოლიდან „ქორნილიო“, რომელმაც მოიტანა 120 ფუთი ტყავი.

— **დამშეულთა დახმარებისათვის.** 29 აგვ. ბორჯომის პარკში გაიმართა სეირნობა და მიტინგი. შემოსავალი უდრის ათეულ მილიონებს.

**აბანოები.** 1 ივლისამდე ქალაქის კომუნალური მეურნეობის განყოფილებას ქონდა თავის განკარგულებაში 8 გოგირდის აბანო 45 ნომრით. დღიურად აბანო ასწრებდა 3—5 ათასამდე კაცის მიღებას.

— **წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.** მცხეთის რაიონში შესდგა სამეული წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ. წერა-კითხვის უცოდინართა აწერა დაიწყო 28 ამ თვეს.

— **ბათომის ცნობები.** აგვისტოს 27 ანგორას რადიო იტყობინება: [illegible], ნაშუადღევს შემდეგ და დღეს მტერმა განაახლა თავის შეტევა მთელს ფრონტზე. მტრის საერთო შეტევა შეჩერებულია მისთვის საგრძნობ ზარალით. ომი გრძელდება.

— ოსმალურ გაზეთების ცნობით ოსმალთა რაზმი უეცრივ თავს დაესხა სახარიისთან ბერძენთა მარცხენა ფრთას და გაჰფანტა იგი.

— გენერალ ძუსხედინ ფაშამ ქემალისაგან მიიღო ბრძანება ბერძნების დესანტის წინააღმდეგ.

— **ქართული თეატრი ბაქოში.** ხელოვნების მთავარმა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის წინაშე, რომ საქართველოს მისიამ აზერბეიჯანში აიყვანოს თავის მფარველობის ქვეშ ქართული თეატრი, რომელიც არსებობს ბაქოში.

— ქართულ თეატრის კომისრათ ბაქოში დაინიშნა ამხ. გ. ნ. მატარაძე.

— **მატარებელთა დაჯახება.** 25 აგვ. საღამოს 8 საათზე სადგურებ არაზდანანსა და ნორაშენს შუა მოხდა მატარებელთა დაჯახება, დაჯახების დროს მოკლულია 31 და დაჭრილია 30 მგზავრი. დაიმსხვრა ორთქმავალი და 3 ვაგონი. უბედურება მოხდა ტელეგრაფის მოქმედების შეწყვეტის გამო. მატარებლები გაგზავნილი იყვნენ შეუთანხმებლივ.

# უცხოეთი

**ნაუენი.** 31 აგვ. გერმანელ მოსამსახურეთა კავშირმა, მუშათა კავშირების დელეგაციასთან ერთად, რომლებიც აერთიანებენ 11 მილიონ წევრს, ინახულა კანცლერი ვირტი. ვირტმა აღუთქვა მათ დახმარება. თავის მხრივ მუშა-მოსამსახურეებმა მოითხოვეს ზომების მიღება, რესპუბლიკის შიგნით წესრიგის დაცველათ და განსაკუთრებითი დევნა პოლიტიკურ მკვლელებისა. ამგვარივე მოთხოვნილებანი წარუდგინეს გერმანიის მთავრობას დამოუკიდებელთა და სოციალისტთა უმრავლესობის წარმომადგენლებმა. ვირტმა განაცხადა, რომ ის ამ პირობებს ღებულობს. გერმანეთის მთავრობამ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ის მიიღებს უსასტიკეს ზომებს წესიერების დამრღვევთა წინააღმდეგ. ამ ოფიციალურ ცნობას პრესა დიდის კმაყოფილებით შეჰხვდა, რომელიც აღნიშნავს, რომ მთავრობის მიერ დასახული რეპრესიული ზომები, გამოწვეულია აუცილებელ საჭირო თავდაცვით, და არ ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას. მემარჯვენე კრება შეწუხებული აცხადებს, რომ მემარჯვენე ჯგუფებს არც კი ჰქონდათ განზრახული აჯანყების მოწყობა და სახელმწიფოს შიგნით არავითარ აგიტაციას არ აწარმოებდნენ.

— ფრანკფურტში გერმანელ კათოლიკეთა სათათბირომ გამოიტანა რეზოლიუცია, რომ იგი მთელი თავის ძალღონით მზადაა ხელი შეუწყოს გერმანეთის ეკონომიურად აღდგენას.

**ნაუენი.** 31 აგვ. დასავლეთ ჰუნგრეთში იდენბურგის და მუღერლანდის მიდამოებში იფეთქა აჯანყებამ. ინსურგენტები ცდილობენ ორი ზემოაღნიშნულ ქალაქების აღებას. დასავლეთ ჰუნგრეთი გამოცხადებულია სამხედრო წესებზე.

**ნაუენი.** 31 აგვ. ავსტრიის მთავრობამ განუცხადა ანტანტას მთავრობას პროტესტი წინააღმდეგ იმისა, რომ ანტანტამ ფაქტიურად დაუძლურა ავსტრია. ავსტრიის მთავრობა ითხოვს ავსტრიაში მოკავშირეთა ჯარების დაუყოვნებლივ გამოგზავნას. ნახევრად ოფიციალურ წყაროების ცნობით ავსტრიაში ჯარები გაიგზავნება ზემო-სილეზიიდან.

**ლონდონი.** 31 აგვ. (რადიო) „დეილი ექსპრესი“ იუწყება, რომ ჰუნგრეთის ბანდებმა აწარმოვეს რიგი თავდასხმებისა სერბიის მოსახლეობაზე.

**ერცბერგერის მკვლელობის გამო.**

**ბერლინი.** 31. აგვისტოს 30-ს ბერლინში შეიკრა იტალო-გერმანეთ შორის შეთანხმება, ექსპორტისა და იმპორტას საკითხებში.

**რომი.** 31. ინგლისის მთავრობა სამხრეთ ინდოეთში უგზავნის დიდძალ ჯარებს. გადაწყვეტილია ინდოეთში მუსლიმანთა აჯანყების სასტიკად ჩაქრობა.

**ნაუენი.** მთელს გერმანიაში სწარმოებს სერიოზული ხასიათის მღელვარება ერცბერგერის მკვლელობისა გამო.

**უმაგალითო კრიზისი.** ივლისის უკანასკნელ რიცხვებში, ინგლისის მუშათა ბირჟაზე კატასტროფიული მდგომარეობა იყო. უმუშევართა რიცხვი პროფესიონალურ კავშირის წევრთა აღწევდა 261 პროცენტამდე. ეს უმაგალითო მოვლენაა ინგლისის ტრედ-უნიონების ისტორიაში. ივლისში 29 გაფიცვას ჰქონდა ადგილი, რომელშიაც მონაწილეობდა მილიონ ნახევარი მუშა.

**კარგად არის თქმული.** ინგლისის მუშათა გაზეთი „დეილი ჰერალდი“ სწერს: „ინგლისმა უნდა უზღოს რუსეთს სამხედრო ზარალი, რადგან იგი ეხმარებოდა 1918 და 1919 კოლჩაკს, დენიკინს, და იუდენიჩს. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მივაწოდეთ მათ ყოველგვარი ამუნიცია და მასალა 10 მილ. მანეთის ღირებული, ოქროს კურსზე. ყოველ შემთხვევაში ამოდენი ღირებული პროდუქტები უნდა მიაწოდოს ინგლისმა რუსეთის დამშეულთ“.

რამდენი უნდა მიაწოდოს მაშინ საფრანგეთმა რუსეთს, თუ ასე ვიანგარიშებთ, როდესაც საფრანგეთი პოლონეთ-რუმინეთის კავშირზე დღიურად ხარჯავს მილიონ ნახევარს.

**ფინლიანდიიდან ცნობა.** ჰელსინგფორსიდან იტყობინებიან, რომ დანიის 7 გემი სურსათითა და 1 გემი გერმანულ წითელი ჯვრისა ექიმებითა და მედიკამენტებით უკვე გზაშია და პეტროგრადისაკენ მიემგზავრება დასახმარებლად.

**ამსტერდამის ინტერნაციონალი რუსეთის დამშეულთა შესახებ.** ამსტერდამის ინტერნაციონალი ზომებს ღებულობს რუსეთის დამშეულთა დასახმარებლად. ამ საკითხის გამო 13 და 14 აგვისტოს ბერლინში შესდგა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო ევროპის მხარეთა უმრავლესობის წარმომადგენლები. კონფერენცია მოუწოდებს ყველა ქვეყნის ორგანიზაციებს, რომ მოახდინონ გავლენა თავის მთავრობებზე რუსეთის დახმარების შესახებ.

**გლეხთა მოძრაობა.** ფესალიაში და ლარისის რაიონში (საბერძნეთი) დაიწყო გლეხთა აჯანყება მიწის მესაკუთრეთა წინააღმდეგ. მოსალოდნელია მოძრაობის გაძლიერება მთელს საბერძნეთში.

**საერთო გაფიცვა.** სტოკჰოლმში დაიწყო საერთო გაფიცვა.

**საფრანგეთის პროფესიონალურ კავშირთა კონგრესი ლილში.** პირველი ცნობები ლილის კონგრესის შესახებ არ გამართლდა. მემარცხენენი ისეთ უმცირესობაში არ დარჩენილა, როგორც აღნიშნული იყო. შორის საერთაშორისო კონფედერაციის შესახებ ხმები გაიყო შემდეგ-ნაირად: მოხსენების მომხრე 1,566, წინააღმდეგი 1,348, თავი შეიკავა 46. (მოხსენების წინააღმდეგი იყო მემარცხენენი.)

ორი დღის შემდეგ სინდიკალური ორიენტაციის საკითხის გამო, ხმები გაიყო: ამსტერდამის მომხრე 1,572, მოსკოვის მომხრე 1,325, თავი შეიკავა 66. პირველ კენჭის ყრასთან შედარებით მემარცხენეებს დააკლდათ მხოლოდ 32 ხმა.

გასული წლის ყრილობაზე, ორლეანში, მემარცხენეებმა მიიღო მხოლოდ 640 ხმა, რაც უდრიდა ყრილობის ერთ მესამედს, ეხლა მემარცხენეებმა მიიღეს თითქმის ყრილობის ნახევარი ხმა.

„ჰუმანიტე“ ყრილობის შესახებ სწერს: მეტალის მუშეებმა რევოლიუციონერებს მისცეს 128 ხმა, რეფორმისტებს 103. ამასთანავე რევოლიუციონერების მომხრეებში შედიოდა ისეთი მძლავრი ორგანიზაციები, როგორც მაგალითად შეერთებული სინდიკატის სენის დეპარტამენტის, რომელიც 20,000 წევრს ითვლის და მხოლოდ ერთ დელეგატით სარგებლობდა კონგრესზე. რკინის გზელებმა რევოლიუციონერებს მისცეს 279 ხმა, ხოლო რეფორმისტებს მხოლოდ 175, რკინის გზელები 15—20 ათასამდე ორგანიზაციულად დარაზმულ ძალას წარმოადგენენ. მასწავლებელთა სინდიკატმა 43 ხმა მისცა რევოლიუციონერებს, ხოლო 4 რეფორმისტებს. სამშენებლო სინდიკატის მუშებმა 188 ხმა რევოლიუციონერებს მისცა და 96 ხმა რეფორმისტებს. სტამბისა და ფოსტის მუშებმა ხმის უმრავლესობა მისცა რეფორმისტებს.

გაზეთი „ტანი“, რომელიც მთელი თავისი სულისკვეთებით თანაუგრძნობს რეფორმისტებს, სწერს, რომ მათი გამარჯვება ბევრს არ ნიშნავსო.

**კომუნისტების გამარჯვება.** „ჰუმანიტე“ გვაცნობებს, რომ სენ-მარკ-ან-ბარეილის მუნიციპალიტეტის არჩევნების დროს კომუნისტებმა გაიმარჯვეს (სენ-მარკ-ან-ბარეილი, ჩრდილო საფრანგეთშია).

**ამსტერდამის ინტერნაციონალი.** ამსტერდამის ინტერნაციონალმა გადასწყვიტა მოიწვიოს ბერლინში საერთაშორისო კონფერენცია რუსეთის დამშეულთა საკითხის გამოსარკვევად.

**მცირე ანტანტა** [illegible] გაზეთი „რუდე პრავა“ მოუწოდებს მცირე ევროპის კომუნისტებს, რომ მცირე ანტანტის წინააღმდეგ [illegible] ფრონტი, მოწოდებაში აღნიშნულია, რომ საჭიროა [illegible] მდგომოთ ჩეხო-სლოვაკიის, სამხრეთ სლავიისა და რუმინიის კაპიტალისტურ კავშირში.

**პოლონეთი.** 3 აგვისტოს ვარშავაში გაიფიცა მიწად-მოქმედების იარაღების მწარმოებელი ფაბრიკების ყველა მუშები. პოზნანში ტრამვაის მუშები გაიფიცა.

**რკინის გზელთა ყრილობა.** ვარშავაში გაიხსნა სრულიად პოლონეთის რკინის გზელთა ყრილობა. ყრილობაზე შეიქმნა „წითელი ფრაქცია“, რომელშიაც შევიდნენ კომუნისტები.

# რუსეთი

**მოსკოვი.** 2 სექტ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ კომისიას დაევალა განიხილოს დამშეულთა სასარგებლოთ ახალ გადასახადთა შემოღების შესაძლოებისა და აგრეთვე არსებულ გადასახადთა ტარიფზე პროცენტულ გაწერის საკითხი.

**მოსკოვი.** ს. რ. აღ. კ. კომისიის ცნობით ყირგიზის რესპუბლიკის ბავშვთა მდგომარეობა საშინელია. მშობლები თავის ბავშვებს ჰყრიან დაწესებულებებსა, ბაზრებსა და ქუჩებში. ადგილობრივ კომისიის წევრებს თვითონ უხდებოდათ 3—4 წლის მომაკვდავ ბავშვების აკრება. ყველა საბავშვო სახლები გავსებულია. „ბავშვის სახლებს“ არ აქვთ საცვლები, ბავშვების შესახვევი და მოსამსახურეთა სათანადო შტატი. სრ. რ. ც. აღ. კ. კომისიამ ადგილობრივ დაგზავნა განკარგულებანი სასწრაფო ზომების მიღებისა ბავშვთა კვების საქმეში.

ყირგიზის სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატმა ყველა განთავისუფლებული ლაზარეთები გადასცა სახალხო განათლების საგუბერნიო განყოფილებას ახალ ბავშვთა სახლებისათვის.

# მოწერილი ამბები.

**ფოთი.** ფოთის მიწად-მოქმედების განყოფილების დახმარებით, ფოთის მცხოვრებლებმა ყანად აქციეს თითქმის ყველა თავისუფალი მინდორ მოედნები. მიუხედავად გვალვისა, მოსავალს კარგი პირი უჩანს. ბევრ ადგილს ტაროები თითქმის დამთავრებულია. წრევანდელი მოსავალი ფოთის თითქმის ეყოფა წლამდე. ლობიოს მოსავალიც კარგი იქნება.

სურსათის მხრივ ფოთი ამ ჟამად განიცდის მწვავე კრიზისს. მუშა-მოსამსახურეები უკანასკნელ ხანებში არ ღებულობენ სიმინდის ფქვილს. სხვა სანოვაგეზე ზედმეტიცაა ლაპარაკი. საბჭოთა სასადილოები ვერ აკმაყოფილებენ მუშა-მოსამსახურეების მოთხოვნილებას. მიღებულია ენერგიული ზომები სურსათის შესაძენად. გაიგზავნა ჩრდილოეთ კავკასიაში სასურსათო განყოფილების გამგე ამხ. ემელიან ნოდია, პურის ფქვილის შესაძენად. დაგზავნილია აგენტები სიმინდის შესაგროვებლად. მიუხედავად ასეთი კრიზისისა, მუშა-მოსამსახურენი ენერგიულად მუშაობენ, ვინაიდან კარგად აქვთ შეგნებული, რომ სამშობლო მოითხოვს მუშაობას და მსხვერპლის გაღებას.

დ. ფაზისპირელი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.

მათემატიკის მასწავლებელი
**ივ. მარ. მაჩაიძე**
(ყოფ. გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე)
**ამზადებს** საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებში შესასვლელად და მოწმობაზე. განმეორებითი საზაფხულო გამოცდებზე მათემატიკურ საგნებში: ალგებრასა, გეომეტრიისა და ტრიგონომეტრიაში, გერმანულ და რუსულ ენებში. პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5. ნახვადა ჩაწერა 7—8 ს. 3—6. 1271

ტირაჟი 1000